ხელშეკრულება ელექტრონული კომერციით მომსახურების შესახებ

სტანდარტული პირობები

(შემდგომში „სტანდარტული პირობები“)

1. ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

1.1. **ავტორიზაცია** - ბარათზე გარიგების შესაბამისი თანხის არსებობის შემოწმებისა და მისი ბლოკირების პროცედურა; **ბანკის** ან/და **საგადახდო სისტემის** მიერ გარიგების მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის გაცემის პროცედურა.

1.2. **ანგარიში –** ბანკში სავაჭრო ობიექტის არსებული ნებისმიერი საბანკო ანგარიში;

1.3. **ბანკი** - კომერციული ბანკი;

1.4. **მხარე** - **სერვისის მიმწოდებელი** ან **მერჩანტი/სავაჭრო ობიექტი/კომპანია** კონტექსტის შესაბამისად;

1.5. **მხარეები** - **სერვისის მიმწოდებელი** და **მერჩანტი/სავაჭრო ობიექტი/კომპანია** ერთობლივად;

1.6. **მესამე პირი** - ნებისმიერი მესამე პირი, გარდა მხარეებისა;

1.7. **სერვისის მიმწოდებელი** - **შპს „თიფეი“ (ს/კ 402291220),** წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართალ-ურთიერთობის ფარგლებში, საკუთარი საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით, საგადახდო მომსახურების მიმწოდებელი პირი, რეგისტრაციის ნომრით N 0100-7704, რომელიც ბაზარზე ოპერირებს “Flitt”-ის ბრენდული დასახელებით

1.8. **სავაჭრო ობიექტი/მერჩანტი/კომპანია** - სავაჭრო/მომსახურების ობიექტი იურიდიული პირი ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც პლატფორმის მეშვეობის ახორციელებს პროდუქციის გაყიდვას და ხელშეკრულების საფუძველზე და წინამდებარე დოკუმენტის პირობებით სარგებლობს სერვისის მიმწოდებლის მომსახურებით.

1.9. **ბარათის მფლობელი** - საბარათე ინსტრუმენტით მოსარგებლე პირი, რომელიც სავაჭრო ობიექტის სასარგებლოდ პროდუქციის მიღების სანაცვლოდ ახორციელებს გადახდას.

1.10. **პლატფორმა** - ელექტრონული კომერციის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც სხვადასხვა სავაჭრო ობიექტი ახორციელებს თავისი პროდუქციის რეალიზაციის ონლაინ/ელექტრონულად, ვებ-გვერდის მეშვეობით;

1.11. **საგადახდო მომსახურება/მომსახურება** – წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სერვისის მიმწოდებლის ელექტრონულ-ტექნიკური საშუალებით - **საგადახდო ინსტრუმენტით,** საგადახდო ოპერაციის განხორციელება და შესაბამის ანგარიშსწორება;

1.12. **ტრანზაქციული საკომისიო** - **საკომისიო, რომელსაც სერვისის მიმწოდებელი საგადახდო მომსახურების** გაწევის სანაცვლოდ მიიღებს, თითოეული **საგადახდო ოპერაციისთვის, სავაჭრო ობიექტისგან**;

1.13. **ბარათი - საგადახდო სისტემაში** შემავალი ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ბარათი/ბარათებიან/და ნებისმიერი სხვა სახის საბარათე ინსტრუმენტი;

1.14. **ბარათის მფლობელი/მომხმარებელი/გადამხდელი - პირი**, რომელიც **ბარათის** მეშვეობით უხდის **სავაჭრო ობიექტს გადასახდელს**;

1.15. **გადასახდელი** – ფულადი სახსრები, რომელსაც ბარათის მფლობელი უხდის სავაჭრო ობიექტს პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად;

1.16. **ავტორიზაციის გვერდი/საგადახდო ინსტრუმენტი** - **სერვისის მიმწოდებლის პროგრამული უზრუნველყოფა**, რომელზეც მომხმარებელი აფიქსირებს ბარათის რეკვიზიტებს, სავაჭრო ობიექტის პროდუქციის/მომსახურების შესაძენად, საგადახდო დავალების ინიცირების მიზნით.

1.17. **მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალება** - სავაჭრო ობიექტსა და სერვისის მიმწოდებელს შორის შეთანხმებული ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს დაცული კავშირის საშუალებას და რომელიც უზრუნველყოფს საგადამხდელო არხებში მომხმარებლისგან მიღებული გადასახდელების ავტომატურ აღრიცხვას და ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექტრონული ინფორმაციის გაცვლას მხარეთა შორის.

1.18. **სავაჭრო ობიექტის საანგარიშსწორებო სისტემა** – ელექტრონული და პროგრამული უზრუნველყოფის ნაკრები, რომელშიც აღირიცხება სავაჭრო ობიექტების მომხმარებლ(ებ)ის ანგარიში და მის მიერ განხორციელებული გადახდები.

1.19. **საბანკო გადარიცხვის ოპერაცია -** ბარათის მფლობელის/მომხმარებლის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის და სავაჭრო ობიექტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ოპერაცია;

1.20. **საანგარიშსწორებო დღე** – მიმდინარე დღის 00:00 საათიდან 24:00 საათამდე;

1.21. **სამუშაო დღე** – ნებისმიერი კალენდარული დღე, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეებისა.

1.22. **საბანკო დღე** – დღე (შაბათის, კვირის ან/და კანონმდებლობით კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას;

1.23. **დანართი** – ასეთის არსებობის შემთხვევაში და თუ ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული, ხელშეკრულების დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;

1.24. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

1.25. **პროდუქცია/სერვისი** - **სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ინტერნეტ პორტალის** მეშვეობით გაყიდული/გასაყიდი საქონელი ან/და მომსახურება;

1.26. **რევერსალი (Reversal) ოპერაცია - საბარათე ოპერაციის** გაუქმების შედეგად **საბარათე ოპერაციის** თანხის **ბარათის მფლობელისთვის** სრულად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ დაბრუნების ოპერაცია.

1.27. **რეფანდის (Refund) ოპერაცია - პროდუქციის** უკან დაბრუნების გამო **სავაჭრო ობიექტის** მიერ **ბარათის მფლობელისათვის გადასახდელის** სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია;

1.28. **ფორს-მაჟორი** – სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, სამარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და **მხარეთათვის** გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული **მხარეების** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა **ხელშეკრულების** ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე;

1.29. **ხელშეკრულება –** წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დანართი, დამატებითი შეთანხმება ან/და ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

1.30. **ჩარიცხვის ოპერაცია** - სავაჭრო ობიექტის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის და ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ოპერაცია (გარდა რეფანდის (Refund) ოპერაციისა);

1.31. **ჩარჯბექი (Chargeback)** - **ბარათის მფლობელის** ან/და **ბარათის** ემიტენტის მიერ, **საგადახდო სისტემების** წესების შესაბამისად, **საბარათე ოპერაციის** გასაჩივრების შედეგად **ბარათის მფლობელისათვის გადასახდელის** უკან დაბრუნების ოპერაცია;

1.32. **Digital Wallet** - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს მომხმარებლის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორების განხორციელებას ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები.

1.33. **პრეავტორიზაცია** - გარიგების თანხის დროებითი დაბლოკვა, რასაც უნდა მოჰყვეს კომპანიის მიერ დაბლოკილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ დადასტურების (კომიტის) ან მომხმარებლისთვის დაბრუნების ოპერაცია. დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, კომპანიის მიერ კომიტის განუხორციელებლობის ან მომხმარებლისთვის გარიგების თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ავტომატურად განხორციელდება გარიგების თანხის განბლოკვა.

1.34. **ლიმიტი** - სერვისის მიმწოდებლის მიერ დადგენილი შეზღუდვა, რომელიც განსაზღვრავს სერვისის მიმწოდებლის საგადახდო არხის მეშვეობით საგადახდო ტრანზაქციების ფარგლებში დასაშვები თანხის მაქსიმალურ ოდენობას და/ან დროის კონკრეტულ პერიოდში (დღის, კვირის და/ან თვის ჭრილში) ტრანზაქციების რაოდენობას და/ან გატარებული თანხის საერთო მაქსიმალურ ოდენობას, რისკების მართვის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესებისა და სერვისის მიმწოდებლის შიდა პოლიტიკების გათვალისწინებით.

1.35. **მერჩანტ პორტალი/აპლიკაცია** - სერვისის მიმწოდებლის მიერ მერჩანტისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული პლატფორმა/აპლიკაცია, რომლის მეშვეობით მერჩანტი საგადახდო მომსახურების ფარგლებში იღებს ინფორმაციას მის პლატფორმაზე გატარებული ტრანზაქციების შესახებ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სერვისის მიმწოდებელი მერჩანტს გაუწევს ხელშეკრულებითა და მისი დანართი N1-ით განსაზღვრულ საგადახდო მომსახურებას (ონლაინ გადახდების მიღება), რის სანაცვლოდაც მერჩანტი სერვისის მიმწოდებელს გადაუხდის დანართი N1-ით გათვალისწინებული წესით განსაზღვრულ მომსახურების საფასურს.

2.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, მერჩანტი უზრუნველყოფს სერვისის მიმწოდებლის საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებას, როგორც საგადამხდელო საშუალებას, გაწეული მომსახურების საფასურის/ გაყიდული პროდუქციის ღირებულების

მიღების მიზნით, ხოლო სერვისის მიმწოდებელი უზრუნველყოფს მერჩანტის მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას, სერვისის მიმწოდებლის საკომისიოს გამოკლებით.

2.3. მომსახურების პირობები, მისი გაწევის წესი და ფარგლები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართებით, მათ შორის და არამხოლოდ, ხელშეკრულების დანართი N1-ითა და მხარეთა შორის სამომავლოდ გაფორმებული ნებისმიერი სხვა დანართებით.

3. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

3.1. ხელშეკრულების შესაბამისად მერჩანტი/სავაჭრო ობიექტი იღებს ვალდებულებას:

3.1.1. მიაწოდოს სერვისის მიმწოდებელს საბანკო ანგარიშები, სადაც ჩაერიცხება ხელშეკრულების საფუძველზე მისაღები თანხები;

3.1.2. სერვისის მიმწოდებლის საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით განახორციელოს საქონლის/მომსახურების რეალიზება მისი საქმიანობის მიმართულების შესაბამისად.

3.1.3. სერვისის მიმწოდებლის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაუხადოს სერვისის მიმწოდებელს:

3.1.3.1. მერჩანტის მიერ რეფანდის ოპერაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

3.1.3.2. ბარათის ემიტენტის მიერ გასაჩივრებული ტრანზაქციები (ჩარჯბეკები);

3.1.3.3. საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ მერჩანტის მხარეს დაფიქსირებული ინციდენტის შედეგად ან/და მერჩანტის ბრალეულობით სერვისის მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმები/გადასახდელები;

3.1.3.4. სერვისის მიმწოდებლისთვის მიყენებული ნებისმიერი ზარალი/ზიანი, რომელიც გამოწვეულია მერჩანტის მიერ სერვისის მიმწოდებლის შესახებ არასწორი/არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებით.

3.1.4. წერილობით აცნობოს მერჩანტის საკონტაქტო მონაცემებში (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი) განხორციელებული ყველა ცვლილების შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის ცვლილების (მათ შორის, სამართლებრივი სტატუსის, საქმიანობის შეცვლის, ლიკვიდაციის, გაკოტრების) შესახებ. ამ ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე / განხორციელებისთანავე.

3.1.5. დაიცვას მოთხოვნები სერვისის მიმწოდებლის საგადახდო ინსტრუმენტისა და პორტალის მიმართ, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების მიერ;

3.1.6. უზრუნველყოს სერვისის მიმწოდებლისთვის ყველა იმ ინტერნეტ-რესურსის და/ან სხვა საინფორმაციო რესურსის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა, რომელსაც მერჩანტი იყენებს საქონლის/მომსახურების რეალიზებისთვის.

3.1.7. არ განახორციელოს ტრანზაქცია (არ მიიღოს გადახდა), რომელიც მიზანმიმართული არ იქნება მის მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტი განახორციელებს ბიზნეს საქმიანობის ცვლილებას ან/და დამატებას, იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ, დაუყოვნებლივ, აცნობს სერვისის მიმწოდებელს

3.1.8. არ მიიღოს მონაწილეობა ტრანზაქციებში / ფიქტიურ ოპერაციებში (მომხმარებლ(ებ)ისთვის სერვისის/მომსახურების მიწოდების გარეშე), რომელიც პირდაპირ და/ან ირიბად დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან.

3.1.9. არ წარმოადგინოს ოპერაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით), თუ იცის (ან უნდა იცოდეს), რომ ყალბია, და/ან არ არის ნებადართული ბარათის მფლობელის მიერ.

3.1.10. დაიცვას მომხმარებლის კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

3.1.11. იქონიოს და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს შესაბამისი მოწყობილობები, აპარატურა და/ან სხვა საშუალებები (მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, შიდა კონტროლის მექანიზმები და სხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობა) ინფორმაციის უსაფრთხოების / კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვის და კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობის მიზნით.

3.1.12. დაიცვას მოთხოვნები ელექტრონული მაღაზიების ვებგვერდების მიმართ, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ და მოცემულია დანართ #2-ში.

3.1.13. ტრანზაქციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა.

3.1.14. არ განუცხადოს უარი მომხმარებელს საქონლის/მომსახურების შეძენაზე ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სერვისის გამოყენებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია/ ტრანზაქცია მერჩანტის მიერ საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

3.1.15. არ მოითხოვოს მომხმარებლისგან ბარათის შესახებ ინფორმაციის (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და ა.შ.) კომპანიის ვებგვერდზე/პლატფორმაზე შეყვანა; არ დაუშვას ბარათის შესახებ ინფორმაციის შენახვა და/ან

გამჟღავნება/გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა) და მკაცრად დაიცვას საბარათე ოპერაციების შესრულების უსაფრთხოება.

3.1.16. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მერჩანტი უზრუნველყოფს, რომ ყველა განხორციელებული ოპერაცია ასახავდეს მომხმარებლის მიერ განხორციელებული ოპერაციის დეტალებს, მათ შორის და არამხოლოდ დეტალებს შეძენილი პროდუქტის/მომსახურების შესახებ. კომპანიის კოდი (MCC) შეესაბამებოდეს იმ კოდს, რომელიც მინიჭებული აქვს კომპანიას პროვაიდერის მიერ. ინტერნეტ-შესყიდვის ოპერაციები განხორციელდება მერჩანტის იმ ვებგვერდზე, რომელიც მითითებულია მერჩანტის მიერ დაფიქსირებულ (პროვაიდერისთვის მიწოდებულ) დოკუმენტაციაში. იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტი დაარღვევს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რის გამოც სერვისის მიმწოდებელს დაეკისრება რაიმე სახის ჯარიმა/სახდელი ან/და მიადგება ზიანი, მერჩანტი ვალდებულია აუნაზღაუროს სერვისის მიმწოდებელს აღნიშნული ჯარიმა/სახდელი/ზიანი, არაუგვიანეს სერვისის მიმწოდებლის მიერ აღნიშნულის თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.1.17. ხელშეკრულებით განსაზღვრული სერვისის მიმწოდებლის საგადახდო ინსტრუმენტი და მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალება გამოიყენოს მხოლოდ გაწეული მომსახურების საფასურის/გაყიდული საქონლის/მომსახურების ღირებულების მიღების მიზნით.

3.1.18. არ დააწესოს რაიმე დამატებითი გადასახადი ტრანზაქციაზე.

3.1.19. არ განახორციელოს ტრანზაცია (არ მიიღოს გადახდა), რომელიც მიზანმიმართული არ იქნება მის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზებისთვის.

3.1.20. მერჩანტი პასუხს აგებს თავისი თანამშრომლების ქმედებებზე, მერჩანტთან შრომითი ურთიერთობების პერიოდში.

3.1.21. განახორციელოს ფულის გათეთრების აკრძალვას და მიიღებს შესაბამის ზომებს, დაიცავს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ და ამასთან ერთად საგადახდო ორგანიზაციების VISA/Mastercard რეგულაციებს ფულის გათეთრების შესახებ.

3.1.22. არ განახორციელოს მომსახურების/საქონლის ექსპორტს იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სამართლებრივი და/ან ექსპორტის შეზღუდვები.

3.1.23. მერჩანტის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებებით აღებული ნებისმიერი ვალდებულება შესრულდება სრულად და ჯეროვნად.

3.1.24. სერვისის მიმწოდებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ დააწესოს მინიმალური ან მაქსიმალური თანხობრივი ლიმიტი საბარათე ოპერაციებისთვის, ჩარიცხვის ოპერაციისთვის ან/და რეფანდის (Refund) ოპერაციისთვის;

3.1.25. დროულად მიაწოდოს სერვისის მიმწოდებელს მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულება შეწყვიტოს ერთპიროვნულად, დაუყოვნებლივ, იმ შემთხვევაში თუ მერჩანტი არ აწვდის სერვისის მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, მხარეთა მიერ, მათ შორის და არამხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, წინასწარ შეთანხმებულ ვადაში.

3.1.26. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების/სერვისის ფარგლებში, აანაზღაუროს სერვისის მიმწოდებლის ან ნებისმიერი მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი, რომელიც გამოწვეულია მერჩანტის ბრალით.

3.1.27. მიაწოდოს სერვისის მიმწოდებელს უტყუარი და სწორი ინფორმაცია კეთილსინდისიერად, კანონმდებლობის შესაბამისად. მერჩანტის მიერ აღნიშნული პირობის განზრახ ან გაუფრთხილებლად დარღვევის შემთხვევაში მერჩანტი სრულად აგებს პასუხს დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე.

3.1.28. დაიცვას სერვისის მიმწოდებელსის მიერ გადაცემული/მიწოდებული ყველა ინსტრუმენტი, ნივთი, პროგრამული უზრუნველყოფა ან/და ინფორმაცია.

3.1.29. აანაზღაუროს მერჩანტის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების პროცესში ჩართული ნებისმიერი პირის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევით სერვისის მიმწოდებლისთვის მიყენებული ზიანი სრულად.

3.1.30. არ გააკეთოს საჯარო/მედია განცხადება სერვისის მიმწოდებელთან შეთანხმების გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მარკეტინგული კამპანიის/აქტივობის ჭრილში. ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით, მხარეები ვალდებულნი არიან საჯარო/მედია განცხადება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ თანამშრომლობასა და მხარეებთან დაკავშირებით გააკეთონ ურთიერთშეთანხმებით.

3.1.31. მერჩანტის ბრალით ან გაუფრთხილებელი ქმედებით დამდგარი ზიანის/ნაკლის შემთხვევაში, განახორციელოს აღნიშნული ნაკლის/ზიანის აღმოფხვრა/ანაზღაურება.

3.1.32. მომხმარებლ(ებ)ის მიერ, სერვისის მიმწოდებლის საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებით, სერვისის მიმწოდებლის წინააღმდეგ ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის წარდგენის/დაფიქსირების

შემთხვევაში, ჩაერთოს მხარედ, საჭიროებისა და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დაიცვას სერვისის მიმწოდებელი და დაეხმაროს სერვისის მიმწოდებელს მისი გამამართლებელი მტკიცებულებების წარდგენაში, პრეტენზიის გაქარწყლებასა ან დავის დარეგულირებაში;

3.1.33. არ დაუშვას ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც ზიანს აყენებს სერვისის მიმწოდებელს ან მის საქმიან რეპუტაციას;

3.1.34. მერჩანტი თავად არის პასუხისმგებელი მერჩანტის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული სერვისების/ მომსახურების კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და მომხმარებელთან კომუნიკაციაზე მათ შორის პროდუქციის შეცვლის/დაბრუნებისა და მომხმარებლისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხებზე.

3.1.35. ტრანზაქციის უარყოფის (გადახდის მიღებაზე უარის თქმის) შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებელს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია უარის თქმის საფუძვლ(ებ)ის თაობაზე.

3.1.36. მერჩანტი ვალდებულია, გადახდის ოპერაციები, მათ შორის და არამხოლოდ, უცხოური ვალუტით დასაშვები გადახდის ოპერაციები განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №8/04 გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტი დაარღვევს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რის გამოც სერვისის მიმწოდებელს დაეკისრება რაიმე სახის ჯარიმა/სახდელი ან/და მიადგება ზიანი, მერჩანტი ვალდებულია აუნაზღაუროს სერვისის მიმწოდებელს აღნიშნული ჯარიმა/სახდელი/ზიანი, არაუგვიანეს სერვისის მიმწოდებლის მიერ აღნიშნულის თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.1.37. მერჩანტი ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების მიზნით, სერვისის მიმწოდებელს მიაწოდოს ბანკში მერჩანტის არსებული ნებისმიერი საბანკო ანგარიში. იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტი დაარღვევს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რის გამოც სერვისის მიმწოდებელს დაეკისრება რაიმე სახის ჯარიმა/სახდელი ან/და მიადგება ზიანი, მერჩანტი ვალდებულია აუნაზღაუროს სერვისის მიმწოდებელს აღნიშნული ჯარიმა/სახდელი/ზიანი, არაუგვიანეს სერვისის მიმწოდებლის მიერ აღნიშნულის თაობაზე გაგზავნილი შეტყობინებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.2. ხელშეკრულების შესაბამისად მერჩანტი/სავაჭრო ობიექტი უფლებამოსილია:

3.2.1. მიიღოს სერვისის მიმწოდებლისგან დამატებითი კონსულტაციები და განმარტებები სერვისის მიმწოდებლის საგადახდო ინსტრუმენტითა და პორტალით ოპერაციების ჩატარების საკითხებზე;

3.2.2. განახორციელოს დაბრუნების ოპერაციები;

3.2.3. მოსთხოვოს სერვისის მიმწოდებელს ტექნიკური ხარვეზის/მომსახურების ნაკლის სრულად აღმოხვრა, გონივრულ ვადაში;

3.2.4. მოსთხოვოს სერვისის მიმწოდებელს, მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შედეგად დამდგარი, დადადსტურებული, მხოლოდ პირდაპირი ზიანის ანაზღაურება.

3.3. ხელშეკრულების შესაბამისად სერვისის მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

3.3.1. გაუწიოს მერჩანტს ხელშეკრულების მე-2 პუნქტითა და დანართებით განსაზღვრული მომსახურება და შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი დროულად და ჯეროვნად ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, დაფიქსირებული ვადებისა და პირობების, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით, მხარეები ვალდებულნი არიან დროულად შეათანხმონ ერთმანეთთან ნებისმიერი სახის დეტალი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომსახურების შესრულებაზე, მსვლელობაზე და ხარისხზე.

3.3.2. გაუწიოს მერჩანტს ნებისმიერი სახის ტექნიკური დახმარება დროულად, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება, გარდა არასამუშაო დღეების/საათებისა და უკუკავშირის განხორციელება მერჩანტის შეტყობინებებზე, კეთილსინდისიერად უზრუნველყოს მერჩანტის მიერ შესაბამისი საფუძვლისა და წერილობითი დასაბუთების შემთხვევაში ხარვეზიანად მიჩნეული მომსახურების დროულად გამოსწორება. ხარვეზის გამოსწორებასთან, რომელიც გამოწვეული მერჩანტის ბრალით ან/და გაუფრთხილებელი ქმედებით, დაკავშირებული ყველა დამატებითი ხარჯები ეკისრება მერჩანტს. ყოველგვარი გაუგებრობის გამოირცხვის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ სერვისის მიმწოდებელის, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება ისეთი ტიპის ხარვეზებზე, რომელ(ებ)იც გამოწვეული მერჩანტის ბრალით ან/და გაუფრთხილებელი ქმედებით.

3.3.3. არაჯეროვნად, უხარისხოდ და ხელშეკრულების პირობების დაუცველად გაწეული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, დროულად, გონივრულ ვადაში აღმოფხვრას შესაბამისი ნაკლი და შეასრულოს დამატებითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

3.3.4. მომსახურების გაწევის პროცესში, იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობებით.

3.3.5. უზრუნველყოს, მისი თანამშრომლების, დასაქმებული/მომსახურე პირების (ასეთის არსებობისას) და/ან ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში ჩართული ნებისმიერი პირის ქმედებების შესაბამისობა ამ ხელშეკრულების პირობებთან.

3.3.6. შეატყობინოს მერჩანტს თაღლითური ტრანზაქციის თაობაზე ბარათის ემიტენტის მიერ განცხადების და/ან ჩარჯბეკის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღეს;

3.3.7. უზრუნველყოს ტრანზაქციის თანხის მერჩანტის ანგარიშზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადარიცხვა / ასახვა ტრანზაქციის განხორციელებიდან არაუგვიანეს მეორე/მომდევნო საბანკო დღეს.

3.3.8. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N4-ით გათვალისწინებული ვალდებულებები, გადამხდელთა/მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე.

3.4. ხელშეკრულების შესაბამისად სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.4.1. მოსთხოვოს მერჩანტს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3.4.2. მიიღოს მერჩანტისგან ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პროცესში, საოპერაციო დეტალებთან დაკავშირებით;

3.4.3. მოსთხოვოს მერჩანტს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.

3.4.4. უაქცეპტო წესით (მერჩანტის შემდგომი თანხმობის გარეშე) დააკავოს ქვემოთ მოცემული თანხები:

3.4.4.1. საკომისიოს თანხები;

3.4.4.2. დაბრუნების (refund) ოპერაციის თანხები;

3.4.4.3. ბარათის ემიტენტის მიერ თაღლითურ ტრანზაქციებად განცხადებული ან/და გასაჩივრებული ტრანზაქციები (ჩარჯბეკები);

3.4.4.4. საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ მერჩანტის მხარეს დაფიქსირებული ინციდენტის შედეგად ან/და ბრალეულობით სერვისის მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმები.

3.4.4.5. სერვისის მიმწოდებლის მიერ მერჩანტისთვის ზედმეტად/არასწორად გადარიცხული თანხები.

3.4.5. უაქცეპტო წესით დააკავოს გარიგებების თანხებიდან ფულადი სახსრები სადაზღვევო რეზერვის აუცილებელი ბალანსის შესანარჩუნებლად, იმ შემთხვევაში თუ მხრაეთა შორის არსებობს შეთანხმება სადაზღვევო რეზერვზე წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

3.4.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების გაწევის მიზნით, გაუზიაროს მერჩანტის შესახებ მისთვის ცნობილი ინფორმაცია, მათ შორის და არამხოდლოდ, პერსონალური მონაცემები, სერვისის მიმწოდებლის კონტრაქტორებს, თიბისი ჯგუფის წევრ კომპანიებს და აგრეთვე საერთაშორისო საგადახდო სისტემებს (Visa, MasterCard), მარეგულირებელ ეროვნულ ადმინისტრაციულ ორგანოებს, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3.4.7. იმ შემთხვევაში თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჩარჯბეკების თანხა ან/და ოდენობა მიაღწევს გარიგებების საერთო თანხის ან/და ოდენობის 1%-ს (ერთი პროცენტი) ან მკვეთრად გაიზრდება ტრანზაქციების რაოდენობა ან/და თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე), დროებით შეაჩეროს მერჩანტთან ანგარიშსწორება და ბარათების მომსახურება.

3.4.8. მოითხოვოს მერჩანტისგან ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ჩარჯბეკის შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი საეჭვო და უკანონო გარიგებისას.

3.4.9. შეაჩეროს ოპერაციების სადღეღამისო ავტორიზაცია მერჩანტის მიერ სერვისის მიმწოდებლის მოთხოვნების დაუკმაყოფილების შემთხვევაში, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო რეზერვთან გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან.

3.4.10. მიმდინარე თვეში შეაჩეროს ოპერაციების სადღეღამისო ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტმა გასული თვის განმავლობაში გადააჭარბა სერვისი მიმწოდებლის მიერ მისთვის (კომპანიისთვის) განსაზღვრულ ლიმიტებს ელექტრონულ მაღაზიაში განხორციელებულ ოპერაციებზე.

3.4.11. თუ სადაზღვევო რეზერვის აუცილებელი ბალანსი ვერ ფარავს ხელშეკრულების ძირითადი პირობების და სტანდარტული პირობების საფუძველზე წარმოშობილ, სერვისის მიმწოდებლის მიმართ არსებულ მერჩანტის ვალდებულებებს, უაქცეპტო წესით დააკაოს საჭირო ფულადი სახსრები მერჩანტის გარიგებების თანხებიდან. გარიგებების არარსებობის არარსებობის შემთხვევაში, მერჩანტი ვალდებულია სერვისის მიმწოდებლის წერილობითი ან/და ელექტრონული ფოსტის ან /და სხვა ნებისმიერი ელექტრონული საშუალების მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინების მიღების საფუძველზე უზრუნველყოს ვალდებულებების დაუყოვნებლივი შესრულება.

3.4.12. მერჩანტის მიერ კომიტის გარიგების თანხის დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდგომ განხორციელების შემთხვევაში, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მერჩანტის მიერ დაგვიანებით დადასტურებული გარიგების თანხა

3.4.13. სერვისის მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, მერჩანტისთვის წინასწარ შეტყობინების/წინასწარი თანხმობის გარეშე გაზარდოს მერჩანტისთვის ამ ხელშეკრულებით (მისი დანართით) განსაზღვრული ლიმიტ(ებ)ი.

3.4.14. სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ანგარიშსწორებები მერჩანტთან ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას, რომლებიც ზიანს ან ზარალს აყენებს VISA-ს და/ან Mastercard-ს ანგარიშსწორების სისტემების რეპუტაციას.

3.4.15. მერჩანტის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის მიზნით, მიიღოს მომსახურება მესამე პირებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მერჩანტის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესში, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

3.4.16. მერჩანტის მიმართ აწარმოოს დავა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტი არ აუნაზღაურებს სერვისის მიმწოდებელს ჩარჯბექის/რეფანდის/საერთაშორისო საგადახდო სისტემებიდან მიღებული ჯარიმების საფუძველზე წარმოშობილ დავალიანებას და/ან სერვისის მიმწოდებელი მოთხოვნის ავტომატურად დაკმაყოფილებას ვერ ახდენს სადაზღვევო რეზერვიდან/მერჩანტის ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის უაქცეპტოდ ჩამოწერის საფუძველზე.

3.4.17. მერჩანტისთვის ცნობილია და წინამდებარე ხელშეკრულების დისტანციური არხ(ებ)ის (მათ შორის და არამხოლოდ, ელექტრონული ფოსტით) საშუალებით დადასტურებით, მერჩანტი ადასტურებს, რომ სერვისის მიმწოდებელს უფლება აქვს, მერჩანტის თანხმობის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ (ნებისმიერ დროს), ნებისმიერ მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან მისი დანართ(ებ)ით და/ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული განაცხად(ებ)ით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება. სერვისის მიმწოდებლის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებელი ასევე უფლებამოსილია მესამე პირ(ებ)ს გადასცეს მერჩანტის შესახებ სერვისის მიმწოდებელში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, შესრულებული ოპერაციების, მერჩანტის მონაცემები და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რაც მესამე პირ(ებ)სთვის საჭიროა მათ სასარგებლოდ დათმობილი უფლებ(ებ)ის ფარგლებში, მერჩანტისთვის მომსახურების გასაწევად) და/ან მერჩანტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება.

3.5. ორივე მხარე უფლებამოსილია:

3.5.1. მეორე მხარესთან შეთანხმებით განახორციელონ მოქმედებები, მათ შორის - გამოიყენენონ სხვადასხვა მარკეტინგული საშუალებები, მხარეთა არსებული და პოტენციური მომხმარებლების კამპანიით დაინტერესების მიზნით.

3.5.2. მხარეებს შორის ნებისმიერი სახის ინტეგრაცია, რომელიც ეხება ბრენდის ან სავაჭრო ნიშნის გამოყენებას, დეტალურად თანხმდება წინასწარ მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ელექტრონულ ფოსტებზე.

3.5.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დაუყოვნებლივ მიაწოდონ მეორე მხარეს ისეთი ინფორმაცია, რამაც შესაძლოა შეაფერხოს მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

3.5.4. მხარეები თანხმდებიან და გარანტიას იძლევიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში დაიცავენ საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის და არამხოლოდ, საქართველოს კანონს „რეკლამის შესახებ“ და საქართველოს კანონს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს.

3.6. მერჩანტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

3.6.1. მერჩანტი, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე მერჩანტის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირ(ებ)ი (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს, რომელსაც სერვისის მიმწოდებლის შეფასებით, მათ შორის სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შეიძლება გავლენა ჰქონდეს პიროვნებაზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დრო:

3.6.1.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას ან სხვა სახის მითითებას);

3.6.1.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

3.6.1.3. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

3.6.1.4. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები.

3.6.1.5. იმ შემთხვევაში, თუ 3.6 პუნქტის შესაბამისად მერჩანტის მიერ გაკეთებული განცხადება აღმოჩნდება არასწორი და მერჩანტის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სანქციის დარღვევას/გვერდის ავლას ან/და აღნიშნულის გამო სერვისის მიმწოდებლის შეფასებით იარსებებს მერჩანტზე ან/და მათთან აფილირებულ პირ(ებ)ზე სანქციის გავრცელების რისკი ან/და რომელიმე ზემოხსენებულ პირზე გავრცელებული იქნება სანქცია, სერვისის მიმწოდებელს, გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ქმედებებისა, ასევე უფლება ექნება იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.6.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული სანქციის შესაბამისად და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და ორგანოს მიერ დაწესებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, მათ შორის არ მისცეს მერჩანტს ნებისმიერი თანხის/აქტივ(ებ)ის განკარგვის ან/და მართვის შესაძლებლობა.

4. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური გადაიხდება შემდეგი წესით:

4.1.1. საგადახდო მომსახურების საკომისიო - სავაჭრო ობიექტის მიერ სერვისის მიმწოდებლისთვის გადასახდელი საკომისიო თითოეული წარმატებით განხორციელებული ტრანზაქციიდან განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

4.2. სავაჭრო ობიექტის ანგარიშზე აისახება ბარათის მფლობელის მიერ გადარიცხული თანხა, სავაჭრო ობიექტისთვის დადგენილი საკომისიოს გამოკლებით. სავაჭრო ობიექტსა და სერვისის მიმწოდებელს შორის ანგარიშსწორება მოხდება არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის ბოლოსა.

4.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით მხარეთა მიერ დანართი N1-ის ფარგლებში განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, სრულად და/ან არასათანადოდ შესრულებაზე, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.2. მერჩანტის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, მერჩანტი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს სერვისის მიმწოდებელს როგორც გაუფრთხილებლობით, ასევე განზრახ მიყენებული ნებისმიერი სახის პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი/ზარალი.

5.3. სერვისის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე შეზღუდულია სერვისის მიმწოდებლის მიერ მხოლოდ განზრახ მიყენებული პირდაპირი ზიანით, შესაბამისად მერჩანტი აცნობიერებს, რომ მას არ ექნება მოთხოვნის ან რაიმე სახის პრეტენზიის წარდგენის უფლება სერვისის მიმწოდებლისთვის ამ უკანასკნელის მიერ მერჩანტისთვის გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანთან, აგრეთვე არაპირდაპირი სახის ზიანთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთი სახის ზიანზე, როგორიცაა რეპუტაციული ზიანი, მიუღებელი სარგებელი და სხვა.

5.4. სერვისის მიმწოდებელი პასუხს არ აგებს ანგარიშსწორების შეფერხებაზე იმ შემთხვევაში, თუ შეფერხება გამოწვეულია მერჩანტის მიზეზით, მათ შორის და არამხოლოდ, მერჩანტის მიერ პორტალის არასწორი გამოყენებით.

5.5. სერვისის მიმწოდებელი პასუხს არ აგებს ანგარიშსწორების შეფერხებაზე და დაგვიანებაზე, იმ შემთხვევაში, თუ შეფერხება/დაგვიანება გამოწვეულია სავაჭრო ობიექტის მიერ არასწორი საბანკო რეკვიზიტების მიწოდებით ან

საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებით ან/და ექვაირერი ბანკის მხარეს არსებული ტექნიკური ხარვეზით.

5.6. სერვისის მიმწოდებელს არ ეკისრება არანაირი სახის პასუხისმგებლობა მესამე პირებისთვის მიყენებულ იმ ზიანზე, რაც გამომდინარეობს სავაჭრო ობიექტის მიერ რაიმე გარიგებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების დარღვევიდან.

5.7. სერვისის მიმწოდებელი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მომხმარებლებისთვის ან მესამე პირებისთვის მიყენებულ იმ ზიანზე, რაც გამომდინარეობს მერჩანტის მიერ რაიმე გარიგებაში თავისი ვალდებულებების დარღვევით.

5.8. მერჩანტი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას საქონლის/მომსახურების ხარისხზე, მერჩანტის მიერ მომხმარებლებისთვის წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის შინაარსზე, აგრეთვე იმ ინფორმაციის შინაარსზე, რომელსაც მერჩანტი ანთავსებს ინტერნეტ ქსელში საქონლის/მომსახურების რეალიზებასთან დაკავშირებით, ამასთანავე იგი ვალდებულია სერვისის მიმწოდებლისგან პირველივე მოთხოვნის მიღებისთანავე წაშალოს/ამოიღოს/დახუროს ნებისმიერი ინფორმაცია სერვისის მიმწოდებლის შესახებ, რომელიც მერჩანტის მიერ განთავსებულია ინტერნეტ ქსელში.

5.9. მერჩანტი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების საფუძველზე დაქვითული/დასაქვითი/დაკავებული თანხების ანაზღაურებაზე ან/და დაქვითვების განხორციელების შედეგად დამდგარ შესაძლო ზიანზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5.10. სერვისის მიმწოდებელი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების საფუძველზე დაქვითული/დაკავებული თანხების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურებაზე.

5.11. სერვისის მიმწოდებელი პასუხს არ აგებს მერჩანტის მიერ სერვისის მიმწოდებლისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტის, სერვისის მიმწოდებლის პორტალის) საშუალებიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სერვისის მიმწოდებლის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

5.12. სერვისის მიმწოდებელი პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის (მათ შორის მერჩანტის ვებგვერდის, აპლიკაციის ან მისი ნებისმიერი კომპონენტის მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ცვლილების, სანქცირებული / არასანქცირებული (მათ შორის თაღლითური) ან ნებისმიერი სხვა სახის წვდომის) შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე / ზარალზე.

5.13. მომხმარებლის მიერ სერვისის მიმწოდებლის ან/და სავაჭრო ობიექტის მიმართ ზარალის ანაზღაურებაზე წაყენებულ მოთხოვნაზე სერვისის მიმწოდებელი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზარალი გამოწვეულია სერვისის მიმწოდებლის მიერ გადასახდელის ჩარიცხვის პროცესში დაშვებული შეცდომით, რაც, მათ შორის და არა მხოლოდ, მოიცავს - სავაჭრო ობიექტისთვის დაგვიანებით, არასწორად, არასრულად ან/და არაზუსტად ინფორმაციის მიწოდებით ან/და გადასახდელის გადახდაზე საგადასახადო დავალების ან მოთხოვნის დაგვიანებით/არასწორად შესრულებით. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული პასუხისმგებლობა სერვისის მიმწოდებელს არ დაეკისრება, თუ იგი განპირობებულია მომხმარებლის მიერ შეუსაბამო მონაცემების მოწოდებით, სავაჭრო ობიექტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი იმგვარი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია დამდგარი ზიანის გამოწვევასთან ან/და სავაჭრო ობიექტის სისტემისა და მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებების გაუმართაობით, თუკი ამგვარი გაუმართაობა გამოწვეული არ არის სერვისის მიმწოდებლის ბრალეულობით.

6. ფორს-მაჟორი და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან მხარეები თავისუფლდებიან, თუ ხელშეკრულების დარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით („ფორს-მაჟორი“).

6.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი მხარეების მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები, მისი შეცვლისა და მოშლის პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან, რომელიც დაფიქსირებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

7.2. მერჩანტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე სერვისის

მიმწოდებლისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში მერჩანტი ვალდებული იქნება მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების სერვისის მიმწოდებლისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს სერვისის მიმწოდებელს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი.

7.3. სერვისის მიმწოდებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, მხარეებისთვის შეწყვეტის შესახებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ხელშეკრულება ითვლება საბოლოოდ შეწყვეტილად მხარეთა შორის ყველა სახის ფინანსური და ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარების შემდეგ.

7.4. სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ, მერჩანტისთვის წინასწარი შეტყობისნების გარეშე, სერვისის მიმწოდებლის ყოველგვარი პასუხისმეგბლობის გამორიცხვით:

7.4.1. შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულება, იმ შემთხვევაში თუ, მერჩანტი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულდებას, ან/და სერვისის მიმწოდებელს გააჩნია ეჭვი მერჩანტის მხრიდან თაღლითური/საეჭვო ქმდებების განხორციელებასთან დაკავშირებით, ან/და კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.4.2. სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულება შეწყვიტოს ერთპიროვნულად, დაუყოვნებლივ, იმ შემთხვევაში თუ მერჩანტი არ აწვდის სერვისის მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, მხარეთა მიერ, მათ შორის და არამხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, წინასწარ შეთანხმებულ ვადაში.

7.5. სერვისის მიმწოდებელს უფლება აქვს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურების პირობებში, მახასიათებლებში ან/და ხელშეკრულებით / საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული დანართ(ებ)ით, შეტყობინების საფუძველზე, მერჩანტისთვის განსაზღვრულ საფასურში / ტარიფ(ებ)ში / გადასახდელებში, შეიტანოს ცვლილებები/დამატებები, ამგვარი ცვლილებების/დამატებების განახორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე ვებგვერდზე ან/და მერჩანტ პორტალზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ან/და მერჩანტისთვის გაგზავნილი შეტყობინების გზით. ამასთან, სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია მის მიერ დადგენილ საფასურში / ტარიფებში / გადასახდელებში ცვლილებების/დამატებების განხორციელების შემთხვევაში, მერჩანტს შესთავაზოს ან/და შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით და/ან მისი დანართებით გათვალისწინებული რომელიმე ან რამდენიმე მომსახურების გაწევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მერჩანტს უფლება აქვს ვებგვერდზე ან/და მერჩანტ პორტალზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებიდან ან/და სერვისის მიმწოდებლის მიერ მერჩანტისთვის შეტყობინების გაგზავნიდან 1 (ერთი) თვის გასვლამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე სერვისის მიმწოდებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში, მერჩანტი ვალდებული იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტობინების სერვისის მიმწოდებლისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს სერვისის მიმწოდებელს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი. ხელშეკრულების მოქმდება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით მერჩანტის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტი არ ისარგებლებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, სერვისის მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება მერჩანტის მიერ მიღებულად, პირობები/ტარიფები/გადასახდელები კი შეცვლილად. სერვისის მიმწოდებელს უფლება აქვს პირობების ცვლილება/დამატება, რომელიც არ აუარესებს მერჩანტის მდგომარეობას, ძალაში შეიყვანოს ვებგვერდზე ან/და მერჩანტ პორტალზე მისი განთავსებისთანავე/ ან/და მერჩანტისთვის შეტყობინების მიწოდებისთანავე.

7.6. სერვისის მიმწოდებელი და მერჩანტი თანხმდებიან, რომ თუ ხელშეკრულებით და/ან ნებისმიერი დანართით და/ან სერვისის მიმწოდებლის ვებგვერდზე განსაზღვრული პირობ(ებ)ის ცვლილება/დამატებას, სერვისის მიმწოდებელი განახორციელებს მერჩანტის სასარგებლოდ, სერვისის მიმწოდებელი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მერჩანტს ცვლილების შესახებ.

7.7. ხელშეკრულების 3.4 და 3.5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებ(ებ)ით სერვისის მიმწოდებელს შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულების შეწყვეტიდან 180 (ას ოთხმოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.8. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან და/ან მისი დანართ(ებ)იდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება / შეთანხმება ხორციელდება წერილობით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. სერვისის მიმწოდებელს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა). ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ:

7.8.1. სერვისის მიმწოდებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუგზავნოს მერჩანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეტყობინება ხელშეკრულების ნებისმიერ პუნქტთან დაკავშირებით ცვლილების ან ახალი სერვისის მიწოდებისთვის დამატებითი პირობების თაობაზე.

7.8.2. მერჩანტის მხრიდან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შესაბამისი შეტყობინების მიღება და თანხმობის წერილობითი ფორმით დაბრუნება ("ვეთანხმები", "ვადასტურებ" ან/და სხვა მსგავსი შინაარსის ტექსტის გამოყენებით) ჩაითვლება ხელშეკრულებაში წერილობითი ცვლილების შეტანად.

7.8.3. ამ გზით მიღებული თანხმობა სამართლებრივი ძალის მქონეა და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.8.4. მხარ(ეებ)ის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე (რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და/ან მხარ(ეებ)ის მიერ სერვისის მიმწოდებლისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში) გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება მხარ(ეებ)ისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.

8. კონფიდენციალურობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის გაცვლილი ნებისმიერი ინფორმაცია, როგორც დოკუმენტური, ასევე ზეპირი სახით წარმოადგენს მკაცრად კონფიდენციალურს. შესაბამისად, თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად კონფიდენციალურად შეინახოს მიღებული ინფორმაცია და არ დაუშვას მისი გამჟღავნება სხვა ნებისმიერი მესამე პირისთვის; მხარე ვალდებულია მიმართოს ყველა ძალისხმევას რათა არ ჰქონდეს წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციასთან სხვა მესამე პირს, ხოლო ასეთი შემთხვევის დადგომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და გამოიყენოს ყველა ღონისძიება შექმნილი გარემოების აღმოსაფხვრელად. მხარე იღებს ვალდებულებას თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების შედეგად (მათ შორის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად), ზიანის ოდენობის მიუხედავად. პასუხისმგებლობა არ დადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების/გადაცემის შემთხვევაში.

8.2. მხარეები ადასტურებენ რომ თითოეული მათგანი თავის საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მე-8 მუხლის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებული იქნება გაუხადოს მეორე მხარეს ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, მოთხოვნისთანავე.

8.4. ნებისმიერი მხარის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9. დავების განხილვა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს.

10. დასკვნითი დებულებანი:

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე (თუ ხელშეკრულებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული) და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. ხელშეკრულების დადების თარიღად მიიჩნევა ხელშეკრულების არსებით პირობებში მითითებული თარიღი.

10.2. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

10.3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.4. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე.

10.5. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გამოუყენებლობა არ

წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

10.6. იმ საკითხებზე მსჯელობისას რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით და/ან დამატებით შეთანხმებული პირობებით.

10.7. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ძირითადი ნაწილისა და დანართების დებულებებს შორის წარმოიშობა წინააღმდეგობა, უპირატესობა მიენიჭება დანართებში განსაზღვრულ დებულებებს.

10.8. ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და თანამშრომელთათვის.

10.9. მერჩანტი იძლევა თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმოვალობაში, სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია ექვაირერი ბანკისგან ან/და სხვა ნებისმიერი ეროვნული ან/და საერთაშორისო ორგანოსგან/უწყებისგან, მათ შორის და არამხოლოდ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან, გამოითხოვოს და მიიღოს მერჩანტის ვერიფიკაცია/იდენტიფიკაციისთვის საჭირო ყველა მონაცემი, ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

10.10. მერჩანტი იძლევა თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმოვალობაში, სერვისის მიმწოდებელი უფლებამოსილია ექვაირერი ბანკისგან გამოითხოვოს და მიიღოს ანგარისწორებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შემდგომში მერჩანტთან გაზიარების მიზნით.

10.11. მხარეები განმარტავენ, რომ Digital Wallet-ის გამოყენებით Debit Friendly (მეგობარი ბანკების) ბარათით განხორციელებული ყველა გადახდა ითვლება/ჩაითვლება და მუშავდება/დამუშავდება, როგორც Debit Domestic (სხვა ქართული ბანკები)ბარათით განხორციელებული გადახდა. ასეთი გადახდების შემთხვევაში, საკომისიო განისაზღვრება Debit Domestic ბარათით გადახდებისთვის ხელშეკრულებითა და მისი დანართებით, მათ შორის დანართი N1-ით დადგენილი ტარიფების შესაბამისად. აღნიშნული განმარტება ვრცელდება ხელშეკრულების სრულ პერიოდზე.

10.12. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე.

დანართი N2

1. ვებ-გვერდზე/პლატფორმაზე ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი მერჩანტის სრული სახელწოდება და მისამართი.
2. ვებ-გვერდზე/პლატფორმაზე უნდა იყოს წარმოდგენილი მერჩანტის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელის საშუალებით მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერი ინფორმაციის მიღება მიმდინარე გადახდებთან დაკავშირებით.
3. ვებ-გვერდზე/პლატფორმაზე უნდა წარმოდგენილ იქნეს შეთავაზებული საქონლის ან მომსახურების სრული აღწერა და მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი შემენის პირობები და პროცედურები; საქონლის დაბრუნების ან შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში უფლებები ხარჯების ანაზღაურების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს მომსახურების/საქონლის შეძენამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გაუგებრობები, პრეტენზიები, დავები.
4. სერვისის მიმწოდებლის, VISA-ს და Mastercard-ის ლოგო (სავაჭრო ნიშანი) უნდა იყოს განთავსებული რეგისტრირებული ფორმით (უცვლელად), თვალსაჩინო ადგილზე.
5. უნდა მოხდეს დეტალური ინფორმაციის მიწოდება საქონლის მიწოდების სერვისთან დაკავშირებით (დავები, ღირებულება, გამონაკლისები და სხვ.).
6. პროდუქციის/მომსახურების მიწოდების შემდგომ, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი გაწეული მომსახურებისა და მიმღები პიროვნების იდენტიფიცირებით, რომელიც დადასტურდება მხარეთა ხელმოწერით.
7. ვებ-გვერდზე/პლატფორმაზე წარმოდგენილი უნდა იყოს და მომსახურების/საქონლის შეძენამდე მომხმარებელი უნდა დაეთანხმოს:
   - კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკას;
   - გარიგების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკას;
   - ანგარიშსწორების პოლიტიკას;
   - ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკას;
8. ვებ-გვერდზე/პლატფორმაზე რეგისტრაციის მომენტში აუცილებელი წესით უნდა მოხდეს მომხმარებლის მონაცემების (სახელი, გვარი, ტელეფონი…) მითითება და ხსენებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სერვისის მიმწოდებელს მისი მოთხოვნისამებრ ტრანზაქციის განხორციელებიდან 6 თვის განმავლობაში.

დანართი 3

ღია ბანკინგის მეშვეობით საგადახდო მომსახურების გაწევა

წინამდებარე დანართი წარმოადგენს სერვისის მიმწოდებელსა და მერჩანტს შორის გაფორმებული ელექტრონული კომერციით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელიც არეგულირებს ღია ბანკინგით გადახდის პროცესს, მოთხოვნებსა და ვალდებულებებს. აღნიშნული დოკუმენტი ძალაშია იმ მერჩანტებისთვის, რომლებიც ღია ბანკინგს იყენებენ გადახდის მეთოდად.

1. განმარტებები

წინამდებარე დანართის ფარგლებში გამოყენებული ტერმინები შემდეგ მნიშვნელობებს ატარებს:

- მომხმარებელი/გადამხდელი – საბოლოო მომხმარებელი, რომელიც ღია ბანკინგის მეშვეობით ახორციელებს გადახდას.
- ღია ბანკინგი – ფინანსური ტექნოლოგიის ჩარჩო, რომელიც მომხამარებელს აძლევს შესაძლებლობას, ერთიანი ინტეგრაციით მიიღოს წვდომა სხვადასხვა ბანკზე, მომხმარებლის საბანკო ანგარიშიდან გადახდის ინიცირებისა და ავთენტიფიკაციის გზით.
- API (აპლიკაციის პროგრამული ინტერფეისი) – ტექნიკური ინტეგრაციის მექანიზმი მერჩანტსა და სერვისის მიმწოდებელს შორის.

2. ღია ბანკინგით მომსახურების ძირითადი პირობები

სერვისის მიმწოდებელი უზრუნველყოფს მერჩანტისთვის ღია ბანკინგით გადახდების მიღებას, რაც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს საკუთარი საბანკო ანგარიშიდან განახორციელონ პირდაპირი გადარიცხვები. აღნიშნული სერვისი წარმოადგენს უსაფრთხო, ეფექტურ და ადგილობრივ
საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამის საგადახდო მომსახურებას. სერვისის
მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1 ერთიანი API ინტეგრაციის მეშვეობით, მერჩანტს მიაწოდოს გადახდის ინიცირების სერვისი (PIS), რაც მომხმარებელს/გადამხდელს საშუალებას მისცემს, სხვადასხვა ბანკიდან განახორციელოს გადახდების ინიცირება, მერჩანტის საქონლის/მომსახურების შეძენის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2 უზრუნველყოს გადახდის მოთხოვნების უსაფრთხო გადაცემა და დამუშავება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

2.3 მერჩანტს მიაწოდოს გადახდის სტატუსის რეალურ დროში განახლების და ანგარიშგების ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს ტრანზაქციის მონაცემებზე წვდომას.

3. მერჩანტის ვალდებულებები

3.1 მერჩანტი პასუხისმგებელია, მისი პლატფორმის ფაგლებში, ყველა საჭირო ტექნიკური განახლების ან ცვლილების განხორციელებაზე, API-ის ფუნქციონალის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით.

3.2 მერჩანტი ვალდებულია დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა, ღია ბანკინგის ფაგლებში განხორციელებული გადახდების დამუშავებისას.

3.3 მერჩანტი ვალდებულია, იმოქმედებს მონაცემთა დაცვის საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად და უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვა.

დანართი N4

შეთანხმება მონაცემთა დამუშავების თაობაზე

წინამდებარე შეთანხმება დადებულია მერჩანტს და სერვისის მიმწოდებელს შორის და მიზნად ისახავს მერჩანტსა და სერვისის მიმწოდებელს შორის **ელექტრონული კომერციით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების** (შემდგომში: **"ხელშეკრულება"**) ფარგლებში, მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას. წინამდებარე შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მონაცემთა დამუშავების მიზნები და საფუძვლები	სერვისის მიმწოდებლის მიერ მერჩანტისათვის საგადახდო მომსახურების გაწევის პროცესში მონაცემთა დამუშავება ხორციელდება **ხელშეკრულების** საფუძველზე, იმ მიზნით, რომ სერვისის მიმწოდებელმა უზრუნველყოს მერჩანტისთვის **საგადახდო მომსახურების** გაწევა, რაც მომხმარებლებს/გადამხელებს მისცემს შესაძლებლობას, მერჩანტის პლატფორმაზე განახორციელონ გადახდის ოპერაციის შესრულება შესაბამისი საქონლის/მომსახურების შეძენის მიზნით.
მონაცემთა დამუშავების საფუძველი	➢ სერვისის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ➢ მერჩანტის ლეგიტიმური ინტერესი, მიიღოს მომსახურება ➢ მომხმარებლის/გადამხელის ინტერესი, შეძლოს ონალიან გადახდის ოპერაციის განხორციელება საქონლის/მომსახურების შეძენის მიზნით
მონაცემთა დამუშავების ხანგრძლივობა და პერიოდულობა	➢ ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადით ან/და მარეგულირებელი ორგანოებისა და კანონმდებლობით დადგენილი ვადებით. ➢ ყოველდღიურ რეჟიმში - გადამხდელების მიერ გადახდის ოპერაციების განხორციელების პარალელურად.
მონაცემთა სუბიექტები:	➢ მერჩანტის მომხმარებლები/გადამხდელები ➢ მერჩანტის დამფუძნებლები/ხელმძღვანელობასა და წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები
დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიები:	სახელი, გვარი, საბანკო ანგარიშის ნომერი, საბანკო ბარათის პირველი 6 და ბოლო 4 ციფრი, ელექტრონული ფოსტა, IP მისამართი, ქვეყანა, ჩარჯბექის მომართვის ისტორია და ჩარჯბექის პროცესში მითითებული ბარათის მფლობელის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის და არამხოლოდ, ტელეფონის ნომერი, საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისიწნებული მონაცემები.
მონაცემთა დამუშავების ადგილი:	საქართველო, გერმანია, საერთაშორისო საგადახდო სისტემების შესაბამისი ლოკაცია.
მესამე მხარეების კატეგორიები, ვისაც შესაძლოა გადაეცეს პერსონალური მონაცემები:	ექვაირიერი ბანკი, საერთაშორისო საგადახდო სისტემები, TBC Group PLC-ის შვილობილი კომპანიები, საგადახდო მომსახურების ფარგლებში არსებული სერვისის მიმწოდებლის კონტრაქტორები.
მხარეთა ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დამუშავებისას	ნებისმიერი მხარე ვალდებულია მეორე მხარის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს სამართლიანად და კანონიერად, ხელშეკრულების და წინამდებარე დანართის მიერ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ნებისმიერი მხარე ვალდებულია სრულად დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის და არამხოლოდ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.
მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და განადგურება	ნებისმიერი მხარე ვალდებულია: • მეორე მხარის მოთხოვნისთანავე, ნებისმიერ დროს, შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა დაუბრუნოს მხარეს და

	აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშალოს/გაანადგუროს მისთვის გადაცემული პერსონალური მონაცემები და მათი ასლები ან შეინახოს ისინი დეპერსონალიზირებული ფორმით. აღნიშნული დათქმა არ ეხება მონაცემებს, რომლებიც გაზიარებულია, ხელშეკრულების ფარგლებში, მერჩანტის ონბორდინგის პროცესში, დაკავშირებულია ხელშეკრულების ფარგლებში მომხდარ ინციდენტთან ან/და მათი შენახვის ვალდებულება სერვისის მიმწოდებელს გააჩნია საქართველოს/საერთაშორისო კანონმდებლობით ან/და მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე. • პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალაში რჩება მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც იმ ვადით, რა ვადითაც მხარე ინარჩუნებს წვდომას მეორე მხარის მიერ მისთვის გადაცემულ პერსონალურ მონაცემებზე. წინამდებარე დათქმა არ უნდა იქნას მიჩნეული რომელიმე მხარის უფლებად, შეინარჩუნოს წვდომა ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ პერსონალურ მონაცემებზე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, თუ მოქმედი კანონმდებლობა ან ნებისმიერი მარეგულირებელი ორგანო ავალდებულებს ნებისმიერ მხარეს შეინახოს მეორე მხარისგან მიღებული პერსონალური მონაცემები და ამის გამო ვერ ახდენს მონაცემების სრულად წაშლას.
წვდომის უფლების მქონე პირთა შეზღუდვა	ორივე მხარე ვალდებულია: • იმოქმედოს მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო (მათ შორის საერთაშორისო) რეგულაციების შესაბამისად, და უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვა. • შეზღუდოს პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლების მქონე პირთა წრე და ასეთი უფლება მიანიჭოს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც წინასწარ აქვთ მიცემული შესაბამისი ინსტრუქციები მონაცემთა დაცვასთან და დამუშავებასთან მიმართებით და რომლებიც უშუალოდ საჭიროებენ მონაცემებზე წვდომას, გააზრებული აქვთ მონაცემთა კონფიდენციალურობის/უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება და უზრუნველყოფენ მონაცემთა საიდუმლოებისა და უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში.
ქვე-დამმუშავებელი	• ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე წინამდებარე დანართით აღებული ვალდებულებები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს ქვე-დამმუშავებელს თუ აღნიშნული გამომდინარეობს შესაბამისი მხარის ბიზნეს საქმიანობიდან და აუცილებელია ოპერირებისთვის. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, მერჩანტისთვის ცნობილია და არ გამოთქვამს პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სერვისის მიმწოდებლის ქვეკონტრაქტორებს და შესაბამისად, ქვე-დამმუშავებლებს წარმოადგენენ TBC Bank Group PLC-ის შვილობილი კომპანია/კომპანიები. • ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია, შეამოწმოს ქვე-დამმუშავებლის ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, მათ შორის უსაფრთხოების ზომებთან შესაბამისობა და დარწმუნდეს, რომ ქვე-დამმუშავებელს აქვს წინამდებარე დანართით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ტექნიკური შესაძლებლობა. • მონაცემთა დამუშავების პროცესში ქვე-დამმუშავებლის ჩართვა არ ათავისუფლებს მხარეს ნაკისრი ვალდებულებებისაგან და არ ზღუდავს მის პასუხისმგებლობის ფარგლებს ასეთი ვალდებულებების დარღვევისას დამდგარ ზიანთან მიმართებაში.
მონაცემთა უსაფრთხოება	• ნებისმიერი მხარე ვალდებულია დაიცვას მეორე მხარის მიერ განსაზღვრული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები და უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება, მთლიანობა და კონფიდენციალურობა. • ნებისმიერი მხარე ვალდებულია მიიღოს მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანმდევი საფრთხეების ასაცილებლად შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული

	ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალურ მონაცემთა დაცვას უკანონო დამუშავების, შემთხვევითი დაკარგვის, განადგურების ან წაშლისგან. • პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განსაზღვრისას, ნებისმიერმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, ფორმა, საშუალებები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები, ასევე, პერიოდულად შეაფასოს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის ადეკვატური ზომების მიღება ან/და არსებული ზომების განახლება. • ნებისმიერი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან/და აქვს წვდომა პერსონალურ მონაცემებთან, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას პერსონალურ მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერი მხარის თანამშრომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. • ნებისმიერი მხარე ვალდებულია საკუთარ თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად განსაზღვროს პერსონალურ მონაცემებზე მათი წვდომის ფარგლები და გაატაროს ადეკვატური ღონისძიებები თანამშრომელთა მიერ უკანონოდ მონაცემთა დამუშავების ფაქტების თავიდან ასაცილებლად, გამოსავლენად და აღსაკვეთად, მათ შორის უზრუნველყოს თანამშრომელთა ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე. ნებისმიერმა მხარემ უნდა შეძლოს წინამდებარე დანართთან და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადასტურება.
ინციდენტზე რეაგირება	• ნებისმიერი მხარე ვალდებულია ინციდენტის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) საათისა, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. • ნებისმიერი მხარე ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომები ინციდენტის აღმოსაფხვრელად და გამოსასწორებლად, აგრეთვე დოკუმენტურად აღრიცხოს ყველა მიღებული ზომა და შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს.
მონიტორინგი	• ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს წინასწარ მოსთხოვოს ინფორმაცია მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების შესახებ და მონიტორინგი გაუწიოს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას.

თანხმობა მერჩანტის მონაცემების/დოკუმენტების მოპოვების/გაზიარების შესახებ

მერჩანტის უფლებამოსილი წარმომადგენელი ადასტურებს, რომ თანახმაა მერჩანტის და მასთან დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემები/დოკუმენტები, საჭირო მოცულობით, მოიპოვოს თიბისი ჯგუფში შემავალი ფინანსური ინსტიტუტებისგან ან გაუზიაროს მათ აღნიშნული მონაცემები, კანონმდებლობით, მათ შორის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონით, გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის და მერჩანტისთვის ეფექტური და შეუფერხებელი მომსახურების გაწევის მიზნით.

მერჩანტის უფლებამოსილი წარმომადგენელი ადასტურებს, რომ იგი ინფორმირებულია, რომ აქვს უფლება, აღნიშნული თანხმობა მან ან/და კომპანიასთან დაკავშირებულმა პირებმა გამოიხმოს/გამოიხმონ ნებისმიერ დროს შპს თიფეის კონფიდენციალურობის/პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით განსაზღვრული ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, მათ შორის, შპს თიფეის ცხელ ხაზზე ((032) 500 01 02) დარეკვით, ელ-ფოსტაზე (compliance@flitt.com) შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნით, ან ოფისში ვიზიტის გზით.